**საქართველოში სოფლად კოოპერაციული სისტემების განვითარებისა და მცირე ფერმერების მხარდამჭერი დეკლარაცია**

**18 ნოემბერი, 2016**

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ''საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსი"-ს - GAARD (შემდგომში „ალიანსი") წევრი ორგანიზაციები:

**მოვისმინეთ რა**, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის (ENPARD) განმახორციელებელი კონსორციუმების მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების 2014-2015 წ.წ. შედეგების ერთიანი ანგარიში, რის მიხედვითაც 2014-2015 წ.წ. პერიოდში ადგილი აქვს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წლიური ბრუნვისა და თითოეული წევრის შემოსავლის საგულისხმო ზრდას.

**ვითვალისწინებთ რა** ფაქტს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დიდ როლს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრად და დინამიურ განვითარებაში, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებასთან და ქვეყნის 2020 წლამდე მდგრადი განვითარების სტრატეგიის თანახმად, ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფას,

**ვხელმძღვანელობთ რა**, ალიანსის ა.წ. 26 ოქტომბრის სხდომაზე ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ალიანსის წევრებისა და დამკვირვებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებებითა და წინადადებებით,

**ვითვალისწინებთ რა**, ალიანსის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და კოოპერაციისა და მცირე ფერმერების შესახებ, თემატური ქვე-ჯგუფების დასკვნებსა და რეკომენდაციებს,

**ვადგენთ:**

- 2014-2015 წ.წ. შედეგების მიხედვით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის (ENPARD) განმახორციელებელი კონსორციუმების მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად შემუშავებული და

აპრობირებული საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების სქემები და მათი განხორციელების მეთოდოლოგია დანამდვილებით ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას და ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის საგულისხმო გაუმჯობესებას;

- ქვეყანაში 2013 წლიდან დღემდე მოქმედი ხელშემწყობი საგადასახადო და სარეგულაციო პირობების შექმნისა და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის შედეგად წარმოქმნილმა მოლოდინებმა სოფლად გამოიწვია 1600-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დარეგისტრირება. კოოპერატივების ასეთი დიდი რაოდენობა  უფრო მეტად გარე დახმარების მიღების მოლოდინით არის განპირობებული და არა მყარი ეკონომიკური ბაზიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2020 წ.წ. დარგობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საინვესტიციო მხარდაჭერისთვის დაგეგმილი ასიგნებები საშუალოდ წლიურად არ აღემატება 3,5 მილიონ ლარს, რაც არსებული კოოპერაციული გაერთიანებების რაოდენობისა და მასშტაბების ფონზე ძალიან მცირეა და არ შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის არსებული საგადასახადო შეღავათების სისტემა მოქმედებს განსაზღვრული ვადით - 2018 წლის 1 იანვრამდე, რაც პრობლემას უქმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მდგრადობას;
- დღესდღეობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა არ აწარმოებს ფინანსურ აღირცხვასა და ბუღალტერიას საჭირო ფინანსური თუ ადამიანური რესურსების ან ცოდნისა და კომპეტენციის არქონის გამო. კოოპერატივების უმრავლესობა საერთოდ არ არის დარეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში და ვერ აცნობიერებს რეგისტრირების საჭიროებას.
- კონკრეტული ბენეფიციარების ჯგუფებს (მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ პირებს, სხვა მოწყვლად პირებსა და პირთა ჯგუფებს) არ მიუწვდებათ ხელი ზოგიერთ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ისინი სპეციფიურად არ არიან მითითებულნი პროგრამების ჩამონათვალში, როგორც ბენეფიციარები.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის საქვეუწყებო დაწესებულებებს, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სასურსათო და აგრარულ სექტორში საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების, პოლიტიკის დაგეგმვისა და პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:**

- ✓ შემუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო საინვესტიციო და ტექნიკური დახმარების სქემები და პროგრამები, რომელიც დაფუძნებული იქნება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის (ENPARD) განმახორციელებელი კონსორციუმების მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად შემუშავებული მოდელის სქემებზე და მეთოდოლოგიაზე, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობას გრძელვადიან პერსპექტივაში და პროგრამის ინდიკატორების მეშვეობით შედეგების გაზომვის შესაძლებლობას.
- ✓ გაიზარდოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2020 წ.წ. დარგობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საინვესტიციო მხარდაჭერისთვის დაგეგმილი ასიგნებები წლიურად 25 მილიონ ლარამდე.
- ✓ გადაიხედოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭების წესი იმისათვის რომ, უზრუნველყოფილ იქნას სათანადო წესით რეგისტრირებული და მოქმედი კოოპერაციული გაერთიანებისთვის სტატუსის მინიჭება და არა იმ გაერთიანებათათვის, რომელიც შექმნილია ნომინალურად ფინანსურ თუ ტექნიკურ რესურსზე ხელმისაწვდომობის მიზნით. მდგრადი კოოპერაციის სისტემის შექმნის მიზნით აღნიშნული სტატუსი უნდა მიიღოს მხოლოდ იმ გაერთიანებამ, რომელიც სტატუსის მოპოვების განაცხადის წარდგენამდე მინიმუმ ერთი წელი მაინც იქნება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.
- ✓ უზრუნველყოფილ იქნეს კოოპერატივებისთვის საგადასახადო რეჟიმი, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერატივებს გარკვეული ვადით (5-7 წლის განმავლობაში) ისარგებლონ საშეღავათო პირობებით.

- ✓ ხელი შეეწყოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების არსებულ კოოპერატივებში ჩართულობას; ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ჯგუფების კოოპერატივებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე წვდომა, ასევე, კოოპერატივების რეგიტრაციის პროცედურებსა და სხვა საკითხებზე მათთვის უფასო კონსულტაციის გაწევა.
- ✓ შემუშავდეს სპეციალური გენდერულად სენსიტიური მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ქალების ჩართულობას ქალთა და ზოგადად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.
- ✓ შემუშავდეს სპეციალური დამცავი მექანიზმი სოციალური დახმარების მიმღები პირებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ დამხარების მიღებას მანამდე, სანამ ისინი დაიწყებენ სარგებლის მიღებას კოოპერატივებიდან.
- ✓ განხილულ იქნას სესხის საგარანტიო ფონდის შესაძლებლობა, რომელიც გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მცირე ფერმერების ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას.
- ✓ უზრუნველყოფილ იქნას კოოპერატივების საქმისწარმოებისა და საოპერაციო და ფინანსური აღრიცხვიანობის სისტემის ჩამოყალიბება და ამ მიმართულებებით კოოპერატივების მხარდაჭერა.
- ✓ შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში აღრიცხვიანობის სისტემის კონკრეტული წამახალისებელი პროგრამები და სქემები და აღნიშნული სისტემის მონიტორინგის სქემები.
- ✓ აღნიშნული პროგრამები და სქემები მიმართული უნდა იყოს არამარტო სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებზე, არამედ საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებზე, ფინანური სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებიც კონსულტაციას უწევენ კოოპერატივებს ფინანსურ და სხვა საწარმოო, ტექნიკურ და საანგარიშგებო საკითხებთან დაკავშირებით.
- ✓ გაკეთდეს სპეციალური დათქმა სახელმწიფო პროგრამებში სპეციალური საჭიროების მქონე პირების (იძულებით გადაადგილებული პირები, სხვა მოწყვლადი პირები და პირთა ჯგუფები) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მონაწილოებისას დამატებითი შესაძლებლობებით სარგებლობის შესახებ, აღნიშნული ჯგუფების წახალისების მიზნით.

- ✓ ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერებას ადამიანური რესურსების კუთხით, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს სახელმწიფოს ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება კოოპერატივების მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით.
- ✓ შემუშავდეს ფინანსური, ტექნიკური თუ სხვა ინფორმაციის გავრცელების ეფექტური სისტემა და კოოპერატივის წევრების განათლების/გადამზადების/ ცნობიერების ამაღლების პროგრამები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ✓ სპეციფიურად ხელი შეეწყოს სხვადასხვა საწარმოო და ბიზნეს მენეჯმენტის მომსახურების წვდომაზე გასაუმჯობესებლად დაფუძნებული კოოპერატივების (ე.წ. სერვის კოოპერატივების) განვითარებას სპეციალური პროგრამებისა და სხვადასხვა ფინანსური შეღავათების დაწესების გზით.
- ✓ უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მონიტორინგისა და შეფასების და წლიური ანგარიშგების სისტემების დანერგვა.
- ✓ უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული სახელმწიფო პროგრამების კრიტერიუმების მორგება სოფლად კოოპერაციული სისტემების პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად.

**ხელმომწერი მხარეები**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსის წევრები:

ასოციაცია ”სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის”

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ

ადამიანები გაჭირვებაში (PiN)

სოფლად თემთა განვითარების სააგენტო

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია - ”ელკანა“

GAARD

საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ექსპორტის განვითარების ასოციაცია

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია

ოქსფამი - დიდი ბრიტანეთი

მერსი ქორი

კავშირი "აგროსერვისი"

საკრედიტო კავშირი "ჯეი-ეი კაპიტალი"

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

აგრო ბიზნესის განვითარების ცენტრი

CNFA

კონსორციუმი „სამართლებრივი დახმარება საქართველო“ (LAG)

საერთაშორისო ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაციების ფილიალი საქართველოში

ბრიჯ - ინოვაცია და განვითარება

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET -PI)

ფონდი TASO

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF